


რიჩარდ რორტი ნეოპრაგმატიზმი და ჰერმანევტიკა

გიორგი კაპანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა : ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შედარებითი თეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
მალხაზ სონდულაშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი კაპანაძე

24.06.2015

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემა რიჩარდ რორტის ფილოსოფია და მისი ნაშრომი ფილოსოფია და ბუნების სარკეა, უფრო კონკრეტულად კი წიგნში ჰერმანევტიკული ფილოსოფიის რორტისეული გაგება. რორტისთვის ჰერმანევტიკა ანტიეპისტემოლოგიური აზროვნების წესია, ფილოსოფიამ საკუთარი საკვლევ სფეროდ უნდა დინახოს კულტურა, პოლიტიკა და არამეტაფიზიკური დიალოგი სხვადასხვა დისკურსებს შორის. ჰერმანევტიკა ჰუსერლის ფენომენოლოგიური სკოლის გავლენით წარმოქმნილი ფილოსოფიური თეორიაა, რომლის მთავარი დამახასიათებელიც ისოტიულობაზე ხასგასმაა. ის როგორც რეპრეზენტაციის ონტოლოგიური თეორია, ფილოსოფიურ განვითარებას მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიაში იწყებს და სხვადასხვა ფორმებს იღებს ისეთ მოაზროვნებთან როგორებიც არიან: გადამერი, დერიდა, ჰებერმასი და სხვები. ფენომენოლოგიური სკოლის გარეთ, ჰერმანევტიკის ამერიკულ ფილოსოფიაში გადასვლა დავიდსონი, კუნის და რორტის შრომების შედეგად ხდება. ჰერმანევტიკის ფილოსოფიური მიზანი უმთავრესად სამყაროს გაგებას და თეორიათა იმ ისტორიული საზრისებს ეხება, რომელშიც ადამიანი საკუთარი თავისა და შემეცნების რეალიზებას ახდენს. მაგრამ ჰერმანევტიკაც, ისევე როგორც ყველა სხვა ფილოსოფიური თეორია მრავალმხრივი და კომპლექსური თეორიაა. ჩემი ნაშრომი უმთავრესად რორტის ნეოპრაგმატულ ჰერმანევტიკას განიხილავს. რორტის ჰერმანევტიკა მიაჩნია, როგორც მეტაფიზიკური ფილოსოფიის დასრულების შედეგად ინტელექტის მიერ საკუთარი თავის რეალიზაციის პერსპექტივა. ფილოსოფიის მომავალს რორტი ხედავს, როგორც ინტელექტუალურ ძალისხმევას, რომელიც ტრადიციული პრობლემების ედიფიკაციას მოახდენს, რათა მკითხველს და საზოგადოებას დაეხმაროს იყოს უფორ მეტად ორიგინალური და ინოვაციური. რორტის მიზანი არ არის ფენომენოლოგიური

ჰერმანევტიკის უტილიტიზაცია, არამედ მისი საკუთარ ფილოსოფიურ კონტექსტში ჩასმა. ჩემი არჩევანი განპირობებულია საკვლევი თემის მნიშვნელობიდან და საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე. ნაშრომს თან ერთვის ფილოსოფია და ბუნების სარკის ავტორისეული წინასიტყვაობის თარგმანი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ფილოსოფია, რიჩარდ რორტი, ეპისტემოლოგია, ჰერმანევტიკა, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი, მეოცე საუკუნის ფილოსოფია, ანალიტიკური ფილოსოფია, ნეოპრაგმატიზმი, ედიფიკაცია.